ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №04.301.01

საბეჭდი ქაღალდი - (CPV – 30197630)

(კონსოლიდირებული ტენდერი CON170000078)

ქ. თბილისი **„05“ თებერვალი, 2018 წელი**

ერთის მხრივ, საქართველოს **შსს სსიპ „112“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის **ავთანდილ ჩიტაძის** სახით, რომელიც მოქმედებს შსს სსიპ „112“ - ის დირექტორის 2018 წლის 29 იანვრის N225944 ბრძანების საფუძველზე და მეორეს მხრივ, **ი/მ „გიორგი კანდელაკი - ვესტა“** (შემდგომში “მიმწოდებელი”), ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20² მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 20 მარტის №2 ბრძანებით დამტკიცებული A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2018 წელს A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 დეკემბრის №2531 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
1.7 „ფორსმაჟორი“ - ,,მხარეები“ -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV - 30197630) (შემდგომში - „საბეჭდი ქაღალდი“), რომელიც აკმაყოფილებს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის 2018 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON170000078) სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.
2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის - 500 (ხუთასი) შეკვრა.
2.3 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3620.00 (სამი ათას ექვსას ოცი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**
3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს **7.24 (შვიდი ლარი და 24 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.**

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე: შსს სსიპ "112"-ის ადმინისტრაციული შენობა, ქ. თბილისი, ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის დამაკავშირებელი გზატკეცილი, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია (დასაწყობების გარეშე).
4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.
4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
4.4 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
5.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
5.3 სატენდერო კომისია ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ საბეჭდი ქაღალდის შემოთავაზებულ ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის ერთეულის ფასის ცვლილება.

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ორ ეტაპად, პირველი ეტაპის მიწოდება არაუგვიანეს 2018 წლის 28 თებერვლისა და მეორე ეტაპის მიწოდება - არაუგვიანეს 2018 წლის 31 მარტისა, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
ბ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართზე, წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის ტერიტორიაზე ერთჯერადად მისაწოდებელი საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 25 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული საბეჭდი ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.
დ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.
ბ) 2018 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენიდან ერთი კვირის განმავლობაში არ დადოს შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.
6.3 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.
ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.
გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.
6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.
ბ) სატენდერო კომისიას მიმართოს, შესაბამისი დასაბუთებით, საბეჭდი ქაღალდის ხარისხის გაუარესების თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.
გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
დ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით.
7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.
7.4 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ გადაიხადოს საჯარიმო თანხა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბეჭდი ქაღალდის ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.6 შემსყიდველის მიერ 4.4 პუნქტში ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო გადაუხთელი თანხის 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.
10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისამდე, მაგრამ საქონლის მიწოდების ვადა არაუგვიანეს 2018 წლის 13 აპრილამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

შსს სსიპ - „112“
ს.კ 204579429
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას N10
ფაქტ. ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის გზატკეცილი
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
მიმღების ანგარიში,
სახაზინო კოდი; 707147050

დირექტორის მოადგილე
ავთანდილ ჩიტაძე

მიმწოდებელი:

ი.მ. „გიორგი კანდელაკი - ვესტა“
ქ. თბილისი, აღმაშენებლის #55/1
(კიევის ქუჩა #1)
ს/კ: 01009005243 ტ: 2 96 19 31; 599 94 45 17;
ელ-ფოსტა: vesta.gk@gmail.com
სს ,,საქართველოს ბანკი''
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE75BG0000000888000801

ინდივიდუალური მეწარმე
გიორგი კანდელაკი-ვესტა

დანართი N1

უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის ტექნიკური მაჩვენებლები

1	ქაღალდის სრული დასახელება (ბრენდი)	DoubleA
2	მწარმოებელი ქვეყანა	ტაილანდი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	80
4	სისქე (UM)	107
5	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერი სხივების გათვალისწინებით –%)	165
6	გაუმჭვირვალობა (%)	>95
7	სიკაშკაშე (%)	>98
8	ზედაპირის ხაოიანობა (ML/MIN)	<150
9	შეკვრაში ფურცლების რაოდენობა	500

- ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა
- ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ქლორის გამოყენების გარეშე
- ქაღალდი დამზადებული უნდა იყოს ხის მერქნისგან
- ქაღალდს უნდა გააჩნდეს ტყის სერტიფიცირების დამოწმების პროგრამის (PEFC) მიერ გაცემული ლიცენზია/ სერტიფიკატი
- ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტერებისათვის, ასლ გადამღები აპარატებისათვის და ორმხრივი ბეჭდვისათვის

მიმწოდებელი:

ი.მ. ,,გიორგი კანდელაკი-ვესტა''

შემსყიდველი:

შსს სსიპ „112“

დირექტორის მოადგილე - ავთანდილ ჩიტაძე ----------